დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის

დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N 35 ბრძანებით

ცვლილებები:1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის
დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N87 ბრძანებით

2. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის
დირექტორის 2026 წლის 30 აპრილის N43 ბრძანებით

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები

თბილისი

2025

სარჩევი

ზოგადი დებულება

თავი 1. პროფესიული პროგრამა

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება, დამატება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება

მუხლი3. მოდულის შემუშავების წესი

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

მუხლი 6. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება, ცვლილებების შეტანა და გაუქმება

მუხლი 7. შეფასების პრინციპები

მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა

მუხლი 9. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა

მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა

მუხლი 11. ვერიფიკაციის პროცედურა

მუხლი 12. შეფასების მტკიცებულება

მუხლი 13. შეფასების გაფორმება

მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის შეფასება

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება, საკვალიფიკაციო გამოცდა და შუალედური შეფასება

მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

თავი II. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

მუხლი 19. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და ჩარიცხვის ეტაპები

მუხლი 20. აკადემიის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

მუხლი 21. აპლიკანტთა რეგისტრაცია

მუხლი 22. აპლიკანტთა შერჩევა

მუხლი 23. შერჩვა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

მუხლი 24. შერჩევა საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

მუხლი 25. ტესტირება

მუხლი 26. შედეგების გამოცხადება და აკადემიაში ჩრიცხვა

მუხლი 27. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

მუხლი 28. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთ პროგრამაზე ჩარიცხვა

მუხლი 29. შესარჩევი კომისია

მუხლი 30. სააპელაციო კომისია

თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

თავი IV. მობილობა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 33. მობილობა

მუხლი 34. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

თავი V. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება

მუხლი 35. ფორმალური განათლების აღიარება

მუხლი 36. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანი და დაშვების წინაპირობა

მუხლი 37. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

მუხლი 38. წარსადგენი დოკუმენტაცია და განაცხადების განხილვის პროცედურები

მუხლი 39. კომისიის შექმნა და საქმიანობის წესი

მუხლი 40. გადაწყვეტილების მიღება გამოცდების ჩატარების შესახებ

მუხლი 41. გადაწყვეტილების მიღება

თავი VI. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინკლუზიური განათლება

მუხლი 42. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილი

მუხლი 43. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

თავი VII. სასწავლო პროცესი

მუხლი 44. სასწავლო პროცესის წარმართვა

მუხლი 45. პროფესიული განათლების მასწავლებელი

მუხლი 46. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

მუხლი 47. აკადემიის ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა

მუხლი 48. სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 49. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მექანიზმი არეგულირებს ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომში განათლებით უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხებს;
2. წინამდებარე მექანიზმი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ N 99/ნ ბრძანების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ და ,,ბ.გ.“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული აკადემიის ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომში განათლებით უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს;
4. განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება ხდება აკადემიაში და/ან პრაქტიკის ობიექტში სასწავლო გეგმის შესაბამისად; პროფესიული სტუდენტი აკადემიაში ეუფლება თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს; პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაესწრება მოდულის შემადგენელი საერთო საათების 1/3-ზე მეტს, არ მიეცემა ნება, არანაკლებ გაცდენილი საათების 50%-ის აღდგენის გარეშე, დაიდასტუროს მოდულის გავლა;
5. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ მექანიზმით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მარეგულირებელი წესებით/დებულებებით და აკადემიის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

თავი 1. პროფესიული პროგრამა

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახეებია:

1.3. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

1.4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

1.5. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

1.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაანგარიშებულია კრედიტებით. (ერთი კრედიტის მოცულობა განისაზღვრება 25-30 სთ-ით);

1.7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება, დამატება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვ. წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს;

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება შესაძლებელია მოხდეს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის ან/და სხვა სპეციალისტის დასაბუთებული ინიცირებით/რეკომენდაციით. შეიძლება ინიციატორი იყოს დამსაქმებელი;

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების მომზადება/რეკომენდაციის გაცემა შესაძლებელია, როდესაც მოძიებული იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი-ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ; სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები და დამსაქმებელთა კონკრეტული მოთხოვნები. მოცემული მონაცემების საფუძველზე, დაინტერესებული პირი მიმართავს ინიცირებით აკადემიის დირექტორს პროგრამის დამატების მიზნით;

2.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე შესაბამისი მოკვლევისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით;

2.5. აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი შედგება: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, სამუშაო ჯგუფის მდივნისა, ინიციატორისა და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებისგან. სამუშო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, სტრატეგიული განვითრების კოორდინატორი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები;

2.6. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება;

2.7. სამუშაო ჯგუფი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

2.8. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თვმჯდომარე და სამუშაო ჯგუფის მდივანი. სამუშაო ჯგუფის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;

2.9. სამუშაო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის სახით;

2.10. სამუშაო ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, აკადემიის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ბრძანებით.

2.11. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებულია მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა", დასამტკიცებლად წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება;

2.12. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა აკადემიის მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია სასწავლებლის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე (სასწავლო აკადემიის ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

2.13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს;

2.14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე;

2.15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგი ტიპის მოდულებს: ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და არჩევითი მოდულები;

2.16. ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება აკადემიას არ გააჩნია;

2.17. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20% -ისა;

2.18. აკადემია უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულის გარეშე;

2.19. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც);

2.20. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნეს მოდულებზე დაშვების წინაპირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.21. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ,,ქართული ენა A2/B1" მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

2.22. განსხვავებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა;

2.23. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და პროგრამის ბიუჯეტი;

2.24. პროგრამის ფორმა განსაზღვრულია ამ წესის დანართი 1-ის შესაბამისად;

2.25. პროგრამის განხორციელებისას და/ან მისი დასრულების შემდეგ შესაძლებელია მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, გადაიხედოს არსებული სასწავლო გეგმა და განხორციელდეს ცვლილებები, რაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიის დირექტორის ბრძანებით გაფორმდება;

2.26. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე;

2.27. პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძრვანელს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს, აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით აკადემიის დირექტორის სახელზე;

2.28. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით;

2.29. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე. ამავე დროს, უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, უკვე ჩარიცხული სტუდენტებისთვის პროგრამა განახორციელოს მილევად რეჟიმში;

2.30. იმ შემთხვევაში, თუ აკადემია მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

2.31. ამ მუხლის 2.29. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად ხდება პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირება, სტუდენტებს განემარტებათ მათი უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული დასტურდება ინფორმაციის მიწოდების ფურცელზე ხელმოწერით/ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტით;

2.32. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, აკადემია ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები;

2.33. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებას იწვევს: ა) საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციის გაუქმება, ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარენტაბელობა;

2.34. აკადემიის დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ;

2.35. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში;

2.36. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომში განათლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. მოდულის შემუშავების წესი

3.1. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკადებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);

3.2. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

3.3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდართული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;

3.4. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათნადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები;

3.5. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, აკადემია უზრუნველყოფს ცენტრის ინფორმირებას;

3.6. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს და/ან შემცირდეს);

3.7. მოდულის ნაწილი - მოდულის განხორციელების მიდგომები: ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს აკადემიის მიდგომებს. თუ შემოთვაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, აკადემია თვითონ აყალიბებს საკუთრ მიდგომებს;

3.8. აკადემია უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით);

3.9. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.თუ მტკიცებულების შეგროვების შეთვაზებულ მიდგომებს აკადემია არ ეთნხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა;

3.10. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. აკადემია უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს;

3.11. მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდირებული წყაროების ჩამონათვალს, რომელიც აკადემიის მიერ შესაძლებელია ჩანაცვლდეს მსგავსი შინაარსის სხვა ლიტერატურით. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ არჩეული ყველა სახის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის;

3.12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობით, იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

4.1. აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა მექანიზმების საშუალებით შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4.2. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე;

4.3. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას (ტრენინგი/მასტერკლასები/განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა);

4.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით აკადემია: შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას, (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი - კურსდამთვრებულთა კითხვარი. აღნიშნული კითხვარების ნიმუშები მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმების წესში, დანართის სახით);

4.5. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიის დირექტორს;

4.6. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს;

4.7. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტები/საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების საშუალებას, შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი და რამდენად დასაბუთებულად არის გადანაწილებული ქულები ან რამდენად ადეკვატურად არის დადასტურებული შესრულების კრიტერიუმები;

4.8. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიულ სწავლა-სწავლების პროცესს. ასევე, რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითრება

5.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა ან/და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით;

5.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ე) ვერიფიკაცია;

5.3. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა აკადემიას შეუძლია როგორც საკუთრი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით;

5.4. საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს: ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას; ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას; გ) საათების გადანაწილებას; დ) სასწავლო რესურსის შეცვლას; ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა;

5.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, აკადემიის დამსაქმებლის თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან აკადემიის სასწავლო პროცესში, წელიწადში ერთხელ (საჭიროებისამებრ) აკადემიაში იმართება შეხვედრა, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აკადემიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ;

5.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების პროცედურები ხორციელდება ამ წესის შესაბამისად;

5.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი, ასევე, შესაძლებელია, იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცი(ები)ა, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს;

5.8. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება ცენტრს.

მუხლი 6. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება, ცვლილებების შეტანა და გაუქმება

6.1. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად;

6.2. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითრება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად;

6.3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთანაც შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით;

6.4. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემა;

6.5. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

6.6. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

6.7. პროგრამის შემუშავების საფუძველი შეიძლება აგრეთვე იყოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას;

6.8. პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების დროს აკადემია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვა;

6.9. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ინიციატორი შეიძლება იყოს დამსაქმებელი და სხვა;

6.10. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;

6.11. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების ინიცირება განიხილება აკადემიის თანამშრომლებთან. ადმინისტრაციის წევრები და სხვა დაინტერესებული პირები ადგენენ პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანშეწონილობას, განსაზღვრავენ აკადემიის შესაძლებლობებს მატერიალური და ადამიანური რესურსით;

6.12. ადმინისტრაციის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირების დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობასა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;

6.13. სამუშაო ჯგუფი იწყებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებას. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

6.14. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძნებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;

6.15. შემუშავებული პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა სამუშაო ჯგუფის მიერ წარედგინება დირექტორს;

6.16. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში პროგრამა აიტვირთება ელექტრონული სისტემის მეშვეობით პორტალზე www.evet.emis.ge, აკადემიის დირექტორი პროგრამას ამტკიცებს ელექტრონულ ფორმატზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით, გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

6.17. დირექტორის მიერ ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა დაუბრუნდება სამუშაო ჯგუფს ცვლილების განსახორციელებლად გონივრული ვადით;

6.18. დირექტორის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეწყდება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსვლელობის პროცედურა;

6.19. თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამა, აკადემია ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

6.20. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი სახით;

6.21. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება აკადემიის დირექტორის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

6.22. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში აკადემია ვალდებულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე უზრუნველყოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. აკადემია უფლებამოსილია მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე;

6.23. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა აკადემია უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დაასრულებინოს სწავლა. აღნიშნულ პროგრამაზე ახალ მსმენელებს აკადემია ვეღარ მიიღებს;

6.24. თუ აკადემიამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება, აკადემია უფლებამოსილია უკვე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლება არსებული პროგრამით.

მუხლი 7. შეფასების პრინციპები

7.1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას.

ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი, რომელიც არკვევს შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგთან; ვალიდურობა იძლევა შესაძლებლობას მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდეს პროფესიული სტუდენტის კონკრეტული კვალიფიკაციის ფარგლებში შესაბამისი ცოდნა და უნარები. შეფასება არავალიდურია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მოთხოვნები მიზანთან/სწავლის შედეგთნ შეუსაბამოა;

სანდოა შეფასება თუ: შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს, გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები, ასევე ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს; ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად

ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო, შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩრთულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი;

8.2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს/პირებს;

8.3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას;

8.4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დანართი N2 -ის მიხედვით დამტკიცებულ ფორმას;

8.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

მუხლი 9. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (დანართი N2);

9.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

9.2. მოდულის დასახელება და კოდი;

9.3. შეფასების თრიღი;

9.4. შეფასების ხანგრძლივობა. თუ შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ერთზე მეტი შეფასების მიმართულებას, შეფასების ხანგრძლივობა განისაზღვრება თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე;

9.5. შესაფასებელი პირის სახელი, გვარი;

9.6. მოდულის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის სახელი, გვარი;

9.7. სწავლის შედეგის ნომერი და დასახელება. თუ მოცემული შეფასების ინსტრუმენტით ფასდება სწავლის შედეგის კონკრეტული კრიტერიუმი, მიეთითება ეს კრიტერიუმიც;

9.8. შეფასების მიმართულება;

9.9. შეფასების მტკიცებულების სახე;

9.10. შეფასებისათვის საჭირო რესურსი;

9.11. შეფასების/დავალების აღწერა/ინსტრუქცია;

9.12. სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;

9.13. განმეორებითი შეფასების პირობები. აღნიშნულ გრაფაში მიეთითება სწავლის შედეგის ან კრიტერიუმის განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა და ზოგადი ჩანაწერი განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. განმეორებითი შეფასების პროცედურული საკითხები დარეგულირებულია წინამდებარე წესით;

9.14. შეფასების შედეგების სქემა სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების ნომრების მითითებით;

9.15. შემფასებლის/პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;

9.16. ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ;

9.17. შეფასების ინსტრუმენტის ავტორი.

მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა და ვალიდაცია

10.1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი;

10.2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებიდან;

10.3. მოდულის განმახორციელებელი მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის (ვალიდაციის ფორმა დანართი N4);

10.4. ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის სწავლის შედეგთან შესაბამისობის დადგენას ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით;

10.5. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, დანართი 4-ის შესაბამისად; (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით)

10.6. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია;

10.7. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისთვის სასწავლო პროცესის მენეჯერსა და შესაბამის დარგის სპეციალისტს განსაზღვრული აქვს 2 (ორი) დღე;

10.8. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია, მხოლოდ სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ შტამპდასმული და დათარიღებული, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება;

10.9. ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტი ინახება, აკადემიის შეფასების ინსტრუმენტების ელექტრონულ ბანკში და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემდგომი შეფასების მიზნებისთვის;

მუხლი 11. ვერიფიკაციის პროცედურა

11.1. პროცედურა ხორციელდება აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმებში გაწერილი წესისა და განსაზღვრული სქემის შესაბამისად;

მუხლი 12. შეფასების მტკიცებულება

12.1. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში;

12.2. შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს;

12.3. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

12.4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მენეჯერს იმ პროფესიული სტუდენტ(ებ)ის შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 3 დღით ადრე;

12.5. შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით;

12.6. არქივში გადაცემული შაფასების მტკიცებულების გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ან გარე შემფასებელი აკადემიის დირექტორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მის მიერ განსაზღვრული ვადით არქივიდან გამოითხოვს შეფასების მტკიცებულებებს. ამავე დროს, გამომთხოვი პირი წერილობით ადასტურებს, რომ დაიცავს პერსონალურ ინფორმაციას ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

12.7. შეფასების მტკიცებულებების განადგურება ხორციელდება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადაში.

მუხლი 13. შეფასების გაფორმება

13.1.პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით (დანართი N3);

13.2. შეფასების გაფორმების დოკუმენტები (უწყისები) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

14.1. აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითრებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის შეფასება

15.1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთნ. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს. შეფასების პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია მოიწვიოს დამსწრე პირი შეფასების საათზე;

15.2. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის შემდეგ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა, რაც გულისხმობს მოდულით განსაზღვრული საათების ანაზღაურებას;

15.3. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის 1-ლად და განმეორებით გამოცდაზე, დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად უფასოდ. არასაპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი იხდის გამოცდაზე გასვლის საფასურს 100 ლარის ოდენობით.

15.4. განმეორებითი შეფასებისას, გამოკითხვის მიმართულების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული უნდა იქნას შეფასების ახალი ინსტრუმენტი.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა

16.1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება არასამართლიანად ჩათვალა, მან გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა;

16.2. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. შეთნხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომელიც უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

16.3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, კომისიის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება, საკვალიფიკაციო გამოცდა და შუალედური შეფასების წესი

17.1. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და შუალედურ გამოცდაში

მონაწილეობის შემდეგ დირექტორის ბრძანებით მიენიჭება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი კვალიფიკაცია

17.2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა;

17.3. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას ახდენს სასწავლო პროცესის სამსახური. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუშავდება საგამოცდო საკითხები;

17.4. პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ 10 დღის ვადაში;

17.5. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და საგამოცდო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. საკვალიფიკაციო გამოცდისთვის კომისია შედგება 5 წევრისგან. კომისიაში შედის პარტნიორი ორგანიზაციის 2 წარმომადგენელი (მათგან ერთი კომისიის თვმჯდომარე), ა(ა)იპ საერთშორისო განათლების აკადემია ბიდისის ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი. საკვალიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობა აისახება ოქმში;

17.6. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება ეფუძნება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების სტანდარტს;

17.7. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების/საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადების შემთხვევაში განმეორებით გამოცდაზე გამოსვლის უფლება მიეცემა 10 დღის ვადაში;

17.8. შუალედური შეფასების, როგორც განმავითრებელი შეფასების, მიზანია დაადგინოს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და სტუდენტის განვითრების დინამიკა. გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერისათვის და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

17.9. შუალედური შეფასება პროგრამის მიმდინარეობის შეფასებაა და შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის;

17.10. შუალედურმა შეფასებამ პროფესიული სტუდენტისათვის უნდა შეასრულოს თვითშეფასების ინსტრუმენტის როლი. მან ჰოლისტურად უნდა შეაფასოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მის მიერ მიღწეული ცოდნა/უნარი/კომპეტენცია. აღნიშნული შეფასება პროფესიული სტუდენტისათვის ასრულებს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის მომზადების ეტაპს;

17.11. შუალედური შეფასების შინაარსი ეფუძნება პროგრამის პროფესიულ/დარგობრივ და ზოგად მოდულებს;

17.12. შუალედური შეფასების თემატიკა ეფუძნება და მიოცავს შეფასების ეტაპისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ/დარგობრივი მოდულების მხოლოდ დასრულებულ, დადასტურებულ სწავლის შედეგებს;

17.13. შუალედური შეფასება ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის შუა პერიოდში. კერძოდ, როცა პროფესიულ სტუდენტს დადასტურებული აქვს პროფესიულ/დარგობრივი მოდულების შესაბამისი კრედიტების მოცულობის არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%;

17.14. შუალედური შეფასება, მიუხედავად მისი შედეგისა, წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;

17.15. შუალედური შეფასების საგანს წარმოადგენს პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები;

17.16. შუალედური შეფასების სისტემა შეესაბამება პროფესიულ განათლებაში დადგენილი შეფასების სისტემის ზოგად მახასიათებლებს;

17.17. შუალედური შეფასებისას გამოიყენება დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება;

17.18. შუალედური შეფასების სტრუქტურა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ კომპონენტებს. პრაქტიკული ნაწილის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კომპლექსური პრაქტიკული დავალების, დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის სახით;

17.19. შუალედურ შეფასებაზე სტუდენტის ცოდნის და უნარების/კომპეტენციების შეფასება ხდება 100 ქულიანი (მაქსიმალური) შეფასების სისტემით შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: თეორიული ცოდნის შეფასება - 50 ქულა და პრაქტიკული უნარების შეფასება (დავალების შესრულების, დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის) – 50 ქულა. დადებითი შეფასების მისაღებად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს, როგორც თეორიულ ასევე, პრაქტიკულ ნაწილში 50% + 1 ქულა. (თეორიული ნაწილი 26 ქულა, პრაქტიკული ნაწილი 26 ქულა);

17.20. შუალედური შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასების კომისიის მიერ, რომელიც მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

17.21. შუალედური შეფასების კომისია შედგება 5 წევრისგან და მის შემადგენლობაში შედიან: აკადემიის 2 წარმომადგენელი, აკადემიის პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის, დარგობრივი ასოციაცი(ებ)ის ან/და დარგის ექსპერტ(ებ)ის ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებ(ებ)ის წარმომადგენლები;

17.22. შუალედური შეფასების კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი თეორიული ცოდნის მტკიცებულებებს. მეორე ეტაპზე ახორციელებს პრაქტიკული დავალების შესრულების შემოწმებას ან/და განიხილავს დასრულებულ ან მიმდინარე პროექტს ან პორტფოლიოს;

17.24. შუალედური შეფასების კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით;

17.25. შუალედური შეფასების კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თვისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს;

17.26. პროფესიულ სტუდენტს, (არასრულწლოვანის შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს/მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს შუალედური შეფასების კომისიის დასკვნის გასაჩივრება, რის თაობაზეც მან სააპელაციო განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს, შუალედური შეფასების დასკვნის გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სამი (3) დღის ვადაში. ვადაგადაცილების შემთხვევაში განცხადება არ განიხილება;

17.27. სააპელაციო კომისია განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: აკადემიის დირექტორი, შუალედური შეფასების კომისიის თავმჯდომარე, წარმოდგენილი დარგის სპეციალისტი (მოწვეული ან აკადემიის შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომელიც არ ყოფილა ჩართული პროფესიული სტუდენტის სწავლების/შეფასების პროცესში);

17.28. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და მიღებულ შედეგებს ასახავს შესაბამის ოქმში;

17.29. სააპელაციო კომისიას, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადად განსაზღვრული აქვს განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღე.

მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

18.1. პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეფასების შედეგები ეცნობება ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და ინდივიდუალური გასაუბრებით.

18.2. შეფასების პროცესი, რომელიც ტარდება ელექტრონულად, კოლეჯის ბაზაზე, შეფასების ინსტრუმენტის ფორმა გასაცნობად ეგზავნებათ სტუდენებს ელ.ფოსტაზე.

თავი II. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

მუხლი 19. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და ჩარიცხვის ეტაპები

19.1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი, ვალდებულია დაინტერესებულ პირს:

ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებულ რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში;

19.2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, აკადემია ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

19.3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა;

19.4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

19.4.1. საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს, სულ მცირე, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

19.4.2. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) აკადემიის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 20. აკადემიის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

20.1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, აკადემია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად;

20.2. თუ აკადემიის მიმართ დაწყებულია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება და პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, უფლება აქვს, აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისთვის ხელახლა დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ახალ პროგრამებზე მიღების გამოცხადება ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში;

20.3. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს აკადემიის მიერ მიღების გამოცხადებისა და აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია აკადემიის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

20.4. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება აკადემიის მიერ მართვის სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, მართვის სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

მუხლი 21. აპლიკანტთა რეგისტრაცია

21.1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტირიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად;

21.2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში;

21.3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა;

21.4. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა;

21.5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ აკადემიას დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;

21.6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით;

21.7. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში;

21.8. აპლიკანტის ეროვნული გამოცდებით ჩაბარების შემთხვევაში, წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 22. აპლიკანტთა შერჩევა

22.1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შეფასებას;

22.2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით;

22.3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, ასევე, აპლიკანტის სურვილის მიხედვით, კანონმდებლობით დაშვებულ ენებზე;

23. შერჩევა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

23.1. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:

ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ) შეფასების თრიღების შესახებ აპლიკანტთa ინფორმირებას;

გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

დ) შერჩევის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

ე) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

ვ) აპელაციის წესსა და ვადებს;

ზ) აკადემიის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

23.2. თითოეულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

23.3. შერჩევა ხორციელდება ამ წესის 22-ე მუხლის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. აკადემია აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე;

23.4. შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება ხორციელდება შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

23.5. ინფორმირების ფორმებია:

ა) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა აპლიკანტებისთვის;

ბ) ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებ.გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე;

23.6. აკადემია ამ წესის 22-ე მუხლის საფუძველზე შერჩვის დადგენილ პერიოდში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთa შეფასების შედეგებს;

23.7. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთa ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

23.8. თუ აპლიკანტთa რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთa რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება აკადემიის მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.

23.9. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

23.10. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით;

23.11. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თaნაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით;

23.12. თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისთვის შერჩევა აკადემიის შეფასებასთან ერთად ითვალისწინებს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებასაც, საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და აკადემიის შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.

მუხლი 24. შერჩევა უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

24.1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თრიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

24.2. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით და აკადემია უფლებამოსილია შერჩვის ძირითად მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე ამ პროგრამებისათვის, განსაზღვროს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება, რომლის თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

24.3. აკადემია უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:

ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;

გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

დ) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;

ე) სხვა პირობებს, საჭიროებისამებრ.

24.4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტებთან გასაუბრების თარიღს/თარიღებს განსაზღვრავს აკადემიის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

24.5. შერჩევა ხორციელდება ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. აკადემია აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე ათავსებს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე;

24.6. შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება ხორციელდება შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. ინფორმირების ფორმებია:

ა) მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა აპლიკანტებისთვის;

ბ) ინფორმაციის განთავსება აკადემიას ოფიციალურ ვებ.გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე;

24.7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აკადემიის მიერ განხორციელებული შეფასება არის დიფერენცირებული;

24.8. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი;

24.9. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-2 ,,დ“ და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას;

24.10. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, აკადემია უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევაზე;

24.11. იმ საშუალო პროფესიული პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და აკადემიის შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებიბის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის

გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

24.12. თუ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია აკადემიის შეფასება, საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და აკადემიის შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%;

24.13. მართვის სისტემა, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და აკადემიის შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

24.14. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

24.15. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

24.16. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განაწილების მიღწეული დონის მიხედვით:

ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება;

24.17. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგული სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

24.18. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლოკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 25. ტესტირება

25.1. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლისთვისაც, შერჩვის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება;

25.2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.

25.3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, შესაძლებელია აკადემიის მიერ მოთხოვნილი იყოს ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში;

25.4. ჩასაბარებელი ტესტების საგამოცდო პროგრამას, ცენტრის წარდგინებით, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

25.5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, საბაზო აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:

ა) წიგნიერებაში;

ბ)რაოდენობრივ წიგნიერებაში;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი);

25.6. თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი აბარებს ამ ტესტის ყველა ტიპს;

25.7. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო;

25.8. თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი. ბარათში მითითებულია აპლიკანტის შემდეგი პერსონალური მონაცემები - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თრიღი, სქესი და აპლიკანტის ფოტოსურათი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპლიკანტის ფოტოსურათი ფიქსირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ბარათში ასევე მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი, სადაც აპლიკანტი გაივლის ტესტირებას, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ჩტარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მუხლი 26. შედეგების გამოცხადება და აკადემიაში ჩარიცხვა

26.1. რეიტინგული სიის შედგენის მიზნით, აკადემია, ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით შერჩევისთვის განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

26.2. აკადემია აპლიკანტებს ჩარიცხავს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე;

26.3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება;

26.4. აპლიკანტმა, აკადემიაში ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) არასრულწლოვანი/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შემთხვევაში, აპლიკანტის დაბადების მოწმობა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ერთი ცალი ფოტოსურათი 3X4;

26.5. აპლიკანტი ვალდებულია, აკადემიას წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში. აღნიშნულ ვადაში, დოკუმენტის წარმოუდგენლობა, შესაძლოა გახდეს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ აკადემიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;

26.6. აკადემია უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ;

26.7. დოკუმენტების წარდგენის ფორმა და ვადები (ადმინისტრაციული რეგისტრაცია), განისაზღვრება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

26.8. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა არის აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი;

26.9. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აკადემიის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

26.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც ჩრიცხულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით;

26.11. დირექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნის /შშმ/სსმ პირის შემთხვევაში, მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება;

26.12. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში;

26.13. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტი ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი სახით:

ა) ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე აკადემიის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

26.14. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის;

26.15. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩრიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, აკადემიას შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად;

26.16. თუ ამ მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებითი ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს;

26.17. აკადემია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 27. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

27.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და ,,საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფესური დაასრულეს ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო აკადემიაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

დ) თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს;

27.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესსა და პირობებს განსაზღვრავს აკადემიის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით;

27.3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩაარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათნაბრებული დოკუმენტი;

27.4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას აკადემია ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში;

27.5. აკადემიის დირექტორი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩაარიცხვის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ინფორმაციას ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 28. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

28.1. ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

28.2. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთვაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში;

28.3. აკადემია განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

28.4. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, კოლეჯს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

28.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აკადემიის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

28.6. პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ვადები, ასევე, ხელშეკრულების გაფორმების ვადები განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

28.7. აკადემია ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან;

28.8. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს აკადემია, ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 29. შესარჩევი კომისია

29.1. ამ წესის 23-ე,24-ე, ასევე, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევების უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესარჩევი კომისია;

29.2. აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

ა) შესარჩევი კომისიის შემადგენლობა, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი;

ბ) შერჩევის ვადები;

გ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები; (დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში აკადემია უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი თრიღი);

29.3. შესარჩევი კომისიის ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ აკადემიის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორი ორგანიზაციების/თანაგანმახორციელებლების მონაწილეობას;

29.4. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა) აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომელი;

ბ) პარტნიორი/თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

გ) პროფესიული მასწავლებელი-დარგის სპეციალისტი.

მუხლი 30. სააპელაციო კომისია

30.1. კონკურსის გადაწყვეტილებასთნ დაკავშირებული საჩივრების განხილვის მიზნით, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

30.2. აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

ა) სააპელაციო კომისიების შემადგენლობა, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი;

ბ) აპელაციის წესი და ვადები;

30.3. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომელი;

ბ) პარტნიორი/ თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი;

გ) პროფესიული მასწავლებელი-დარგის სპეციალისტი;

30.4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის წევრი, ვინც მონაწილეობდა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების მიღებაში;

30.5. აპელაციასთნ დაკავშირებული პროცედურები სრულდება ამ წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლისდ დაწყების თრიღის დადგომამდე.

თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩრება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩრება/სტატუსის აღდგენა

31.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა)პირადი განცხადება;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;

გ) ორსულობა, მშობიარობა;

დ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო აკადემიაში სწავლა, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა-სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ) სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ზ) სხვა არსებითი გარემოება;

31.2. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს აკადემიის დირექტორს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით;

31.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 (ხუთი) წელი;

31.4. ამ მუხლის 33.1. პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აკადემია ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

31.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი ბრძანებით;

31.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

31.7. პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებული პირი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ წერილობით მიმართავს აკადემიის დირექტორს;

31.8. პირისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ საბოლოო დაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი ბრძანებით;

31.9. აკადემიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუსშეჩრებულ პირად.

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

32.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა, თუ არ მოხდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30% -ზე მეტის გაცდენა;

ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის-გარიცხვის გამოყენება;

ზ) გარდაცვალება.

32.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი ბრძანებით, უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა), რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს;

32.3. თვითდაფინანსების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა პროფესიული სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე;

32.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 33. მობილობა

33.1. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N 198/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ დადგენილი პირობების შესაბამისად;

33.2. აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით პროფესიული სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის თობაზე, იმ მიმართულებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება. პროფესიული სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძნებით;

33.3. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო აკადემიის პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს აკადემიის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო აკადემიის პროფესიულ სტუდენტს. ასევე პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

33.4. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი აკადემიას მიმართავს განცხადებით მობილობის მსურველად რეგისტრაციის თობაზე. აკადემია უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის

შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ;

33.5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით;

33.6. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, აკადემიის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;

33.7.მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინიტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში;

33.8. მობილობის უფლებით პროფესიული სტუდენტი ისარგებლებს მხოლოდ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს;

33.9. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე;

33.10. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში;

33.11. აკადემია უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთვაზოს მობილობა, თუ:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და აკადემიას არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) აკადემია ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

33.12. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს აკადემია. აღიარება ფორმდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში-აკადემიის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში აკადემია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

აკადემია, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თობაზე ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 34. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

34.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას;

34.2. აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, აკადემია სტუდენტებთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მათ გადაყვანას ამავე აკადემიის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, აკადემია სტუდენტს შესთვაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ საგანმანათლებლო აკადემიაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

34.3. აკადემიას უფლება აქვს განსაზღვროს სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა ფინანსური მდგრადობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ ეს რაოდენობა ფინანსურად რენტაბელობის ზღვარზე დაბალია, აკადემია უფლებამოსილია არ დაიწყოს პროგრამის განხორციელება ან/და მიმდინარე პროგრამის შემთხვევაში, არსებული სტუდენტები შიდა მობილობით გადაიყვანოს მონათესავე პროგრამაზე.

თავი V. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება

მუხლი 35. ფორმალური განათლების აღიარება

35.1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს აკადემია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა“ და წინამდებარე წესის შესაბამისად;

35.2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

35.2.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩრჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თვსებადია;

35.2.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

35.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში-განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები იდენტურია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;

35.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთნ დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან;

35.5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

35.5.1. აკადემიისთვის განცხადების წარდგენა;

35.5.2. კომისიის შექმნა აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე;

35.5.3. კომისიის მიერ განცხადებისა და თანადართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;

35.5.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

35.5.5. აკადემიის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

35.5.6. აკადემია უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად:

35.5.6.1. წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, აკადემიის ვებ-გვერდზე;

35.5.6.2. პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთნავე მას დაწვრილებით განემარტება ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები, აღნიშნულის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები და წესები;

35.7. განმცხადებლის მიერ აკადემიისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

35.7.1. აკადემიის დასახელებას;

35.7.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

35.7.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

35.7.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

35.7.5.განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

35.7.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

35.7.7. განმცხადებლის ხელმოწერას;

35.7.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას;

35.8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:

35.8.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

35.8.2. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

35.8.3. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი-დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი

ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

35.9. განცხადებას შესაძლებელია ერთვოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად აკადემიის/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თობაზე, გარდა წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

35.10. აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი აკადემიას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, აკადემია განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნულის შესახებ აკადემია ახდენს განმცხადებლის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

35.11. აკადემიის მიერ წინამდებარე მუხლის 37.10. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;

35.12. თუ აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს, აკადემიის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;

35.13. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის 37.5.2. პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში-კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას;

35.14. კომისია შედგება 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

15.14.1. აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი;

35.14.2. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი; პროგრამის ხელმძღვანელი;

35.15. აკადემიას უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;

35.16. აკადემიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა;

35.17. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თვმჯდომარის ხმა;

35.18. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თვმჯდომარე და მდივანი;

35.19. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა;

35.20. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან;

35.21. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება;

35.22. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

35.22.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

35.22.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;

35.23. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება;

35.24. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებელი უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით;

35.25. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

35.25.1. აკადემიის დასახელება;

35.25.2. განმცხადებლის ვინაობა;

35.25.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

35.25.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

35.25.5. გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

35.25.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა;

35.26. აკადემია ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

35.27. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/ შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარმოდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/ მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით ,,საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმისწარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძნების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში;

35.28. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

35.29. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, რომელსაც ფუნქციურად ევალება რეესტრის წარმოება;

35.30. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო აკადემიაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო აკადემიაში მიღებული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

35.31. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 36. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანი და დაშვების წინაპირობა

36.1. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის;

36.2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ინსტრუმენტია კონკრეტული პროფესიული სტანდარტი. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობის შემოწმენა;

36.3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - მაძიებელი) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტ5ანდარტით გათვალისწინებულ წორობებს.

მუხლი 37. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

37.1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

37.1. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განცხადების წარდგენა;

ბ) კონსულტირება/დოკუმენტირება;

გ) შეფასება;

დ) გადაწყვეტილების მიღება;

37. 2. კომისიის გადაწყვეტილებით შეფასების ეტაპი შესაძლოა მოიცავდეს გამოცდას;

37.3. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფისზ მიზანით აკადემია უფლებამოსილია, ამ წესისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N 188/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღრეული სწავლის შედეგების აღიარების წესის“ დანართი N1-ით გათვალისწინებული განაცხადისა და დანართი N2-ით განსაზღვრულიმაძიებლის კონსულტირების ფორმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნას აღიარების კომისია;

37.4. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის, ამ წესისა სხვა სამართლებრივი აქტების დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობა;

37.5. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით მაძიებელი მიმართავს აკადემიას შესაბამისი კვალიფიკაციისა და დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში:

ა) აღიარების მოთხოვნის შესახებ განაცხადის საფუძველზე, აღიარების მსურველი ხვდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელ პირს (შემდგომში - კონსულტანტი), რომელიც კონსულტაციას უწევს პირს არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით კონსულტანტი უზრუნველყოფს:

ბ.ა) პირის ინფორმირებას არაფორმალური განათლების, მისი აღიარების მიზნებისა და შედეგების შესახებ;

ბ.ბ) პირს აწვდის ინფორმაციას არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპების, მოსალოდნელი შედეგებისა და ასევე დაწესებული საფასურის შესახებ;

ბ.გ) უზრუნველყოფს პირის ინფორმირებას მისთვის სასურველი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ავთონომიურობის ფლობის შესახებ;

ბ.დ) ეხმარება პირს მაძიებლის კონსულტირების ფორმის მეშვეობით განსაზღვროს არაფორმალურად შეძენილი პროფესიული კომპეტენციები და არსებობის შემთხვევაში დაადასტუროს ისინი შესაბამისი დოკუმენტაციით;

ბ.ე) პირს განუმარტავს არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპებს;

ბ.ვ) შუამდგომლობს შესაბამისი დარგის სპეციალისტებთნ არაფორმალური განათლების აღიარებისათვის პირისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მუხლი 38. წარსადგენი დოკუმენტაცია და განცხადების განხილვის პროცედურები

38.1. აკადემიაში არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით განცხადების წარმოდგენის ვადები განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარების შესახებ, არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის მოთხოვნას, მისი დასაქმების/განათლების სფეროს, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანს;

ბ) საბაზო სადეხურის ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - აღნიშნული დოკუმენტის აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას, გაცემულს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, დადგენილი წესით;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამსდასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.);

ე) აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

38.2. მაძიებლის კონსულტირების ფორმა პირს საშუალებას აძლევს, აღწეროს საკუთრი პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობა კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ავტონომიურობასთან. მაძიებლის კონსულტირების ფორმაში პირი მიუთითებს, თუ კონკტერული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ცოდნასთან, უნარებთან და ავტონომიურობასთან. მაძიებლის კონსულტირების ფორმაში პირი მიუთითებს , თუ კონკრეტული პროფესიული სტანდარტის რომელი დონით გათვალისწინებულ ცოდნასთნ, უნარებთნ და ღირებულებებთნ სურს საკუთარი არაფორმალური პროფესიული კომპეტენციების შესაბამისობის დადასტურება;

38.3. აკადემია უფლებამოსილია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად;

38.4. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და მასთან ერთდ კომისიის წინაშე წარადგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ. კონსულტირების ფორმის შევსებისას, კონსულტირების ეტაპზე კონსულტანტი განხილული თემებისა და შესაბამისი აქტივობების შესახებ მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ახდენს მაძიებლის გამოცდილების იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც იგი ადგენს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული, თუ რომელი სწავლის შედეგ(ებ)ია იდენტიფიცირებული;

38.5. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების იდენტიფიცირების შედეგად, კონსულტანტი მიუთითებს: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ის დასახელება, არაფორმალურ გარემოში მიღწეული სწავლის შედეგი, მაძიებლის

მიერ აღწერილი შესრულების კრიტერიული, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მითითებულ გარემოებებს.

მუხლი 39. კომისიის შექმნა და საქმიანობის წესი

39.1. აკადემიის დირექტორი ამ წესის 38 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის ან მაძიებლად ცნობაზე უარის თქმის შესახებ და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კომისიის არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით:

ა) შესაბამისი სფეროს სპეციალისტი - დამსაქმებლის ან/და დამსაქმებელთა/დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენელი;

ბ) შესაბამისი სფეროს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) აკადემიის წარმომადგენელი;

დ) საჭიროების შემთხვევაში აკადემია უფლებამოსილია კომისიის შემადგენლობაში განსაზღვროს დამატებით სხვა პირ(ებ)ი;

39.2. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები;

39.3. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა;

39.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

39.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თვმჯდომარე და მდივანი;

39.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს აკადემიასთნ არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთ კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა;

39.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

მუხლი 40. გადაწყვეტილების მიღება გამოცდის ჩატარების შესახებ

40.1. შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ კონსულტირების ფორმას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას;

40.2. კომისია უფლებამოსილია, მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის, სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების) შესახებ. ასევე, კონსულტანტისგან გამოითხოვოს მაძიებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

გამოცდა მოდულის/სწავლის შედეგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ჩტარდეს შემდეგი ფორმატით: წერილობით, ზეპირი ან/და პრაქტიკული დავალების შესრულებით. მაძიებლის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა/შეფასება ტარდება საგანმანათლებლო აკადემიის ან/და დამსაქმებლის ბაზაზე;

40.3. გამოცდა ინიშნება აღიარების შესახებ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების ან/და გამოცდის ჩატარების ორგანიზების საკითხები ან/და შექმნას საგამოცდო კომისია ან/და განსაზღვროს შეფასების პროცესში/გამოცდაზე ჩასართავი პირი/პირები;

40.4. გამოცდას ატარებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ შექმნილი კომისია;

40.5. გამოცდაზე კომპეტენციების შემოწმება შესაძლოა განისაზღვროს შესაბამისი დონის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით;

40.6. ინფორმაცია შესამოწმებელი კომპეტენციების შესახებ, გამოცდის ადგილი, თარიღი და დრო არაფორმალური აღიარების მაძიებელს ეცნობება გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღით ადრე;

40.7. არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის მიერ გამოცდის შედეგები ფორმდება ოქმით, სადაც მიეთითება არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში - მითითება იმის თობაზე, პროფესიული განათლების რომელ დონეს, მოდულს ან სწავლის შედეგს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითება შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება;

40.8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის წარმართვისათვის სავალდებულოა საგამოცდო კომისიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;

40.9. საგამოცდო კომისია შედგება მასწავლებლებისგან და შესაბამისი სფეროს დამსაქმებლის წარმომადგენლებისაგან. საგამოცდო კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს კონსულტანტმა, საგამოცდო კომისიის თნხმობის საფუძველზე;

40.10. მაძიებლისათვის გამოცდის ჩტარების შემთხვევაში კომისია განიხილავს საგამოცდო კომისიის მიერ ჩტარებული გამოცდის შედეგებს;

40.11. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით განმეორებითი გამოცდა არ ინიშნება.

მუხლი 41. გადაწყვეტილების მიღება

41.1 არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების და დადასტურების გზით და კომისია იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ;

გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;

41.2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა:

ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა;

ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა, შესაბამისი დასაბუთებით;

გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები ვერ დაადასტურა პირმა შესაბამისი დასაბუთებით;

41.3. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის დირექტორის მიერ 5 დღის ვადაში გამოიცემა ბრძნება აღიარების დადასტურებაზე, ნაწილობრივ აღიარებაზე ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;

41.4. არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე აკადემიის მიერ, მაძიებლის სახელზე გაიცემა:

ა) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;

ბ) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერდადასტურების შემთხვევაში - ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;

გ) მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში აკადემია გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს;

41.5. მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების ნაწილობრივ დადასტურების შემთხვევაში, აკადემია არ გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს;

41.6. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;

41.7. აკადემია ვალდებულია გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს მაძიებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

41.8. მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები და კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არაფორმალური განათლების აღიარების მართვის ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - ელექტრონული სისტემა).

თავიVI. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინკლუზიური განათლება

მუხლი 42. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილი

42.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ, როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს აკადემიას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა (არაუმეტეს ამ წესის მე -19 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობისა) და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები;

ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მენეჯერის და სსსმ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით; ჯგუფი 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც წარედგინება აკადემიის დირექტორს დასამტკიცებლად;

42.2. ამ მუხლის 42.1. პუნქტის ,,ბ"; ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული პროგრამის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, სტატუსაღდგენილი სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით და სხვა გარემოებების შემთხვევაში, რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პირის, რომელსაც სჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

42.3. ინდივიდუალური საჭიროებისათვის ან მცირერიცხოვანი ჯგუფების შემთხვევაში, როცა პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში ნაკლებია რენტაბელობის ზღვარზე, შესაძლებელია ჯგუფების გაერთიანება ერთი და იმავე სარეგისტრაციო ნომრის მქონე მოდულების გავლის მიზნით, თუმცა აცდენა მოდულის დაწყების ვადაში არ უნდა აღემატებოდეს 2 კვირას. გაცდენილი დროის კომპენსირება მოხდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური კონსულტირების გზით.

მუხლი 43. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

43.1. აკადემია ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

43.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას აკადემია ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას;

43.3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის აკადემიის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიცირებას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;

43.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით;

43.5.მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ;

43.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტ(ებ)ის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად;

43.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;

43.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო აკადემიაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს;

43.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, საჭიროების შემთხვევაშიგამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა;

43.10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის აკადემია უზრუნველყოფს როგორც სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირების გზით, საჭიროების შემთხვევაში;

43.11. ადაპტირებული სასწავლო რესურსების (არსებობის შემთხვევაში) რეესტრის წარმოებას და ზედამხედველობას ახდენს აკადემიის ბიბლიოთეკარი.

თავი VII. სასწავლო პროცესი

მუხლი 44. სასწავლო პროცესის წარმართვა

44.1. აკადემიის დირექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების საფუძველზე აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი აკომპლექტებს ჯგუფებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დადგენილი რენტაბელობის მაჩვენებლის დაცვის პირობით, რომელთათვისაც დგება სასწავლო ცხრილები;

44.2. პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი აკადემიის დირექტორს წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვას, რომლის შესაბამისადაც, პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, საიდანაც არანაკლებ სამი საათი ეთმობა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციას, მათთვის შეფასების გაცნობასა და ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემისა და სასწავლო პროცესის თანმხლებ პროცედურებს;

44.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს კალენდარულ გეგმას;

44.4. სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს ფორმირებაზე, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებები და პრაქტიკული კომპონენტის შესაბამისი დოკუმენტაცია;

44.5. შეფასების უწყისის სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის ჩაბარებას უზრუნველყოფს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასწავლო პროცესის მენეჯერი არეგისტრირებს შეფასების უწყისს, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით;

44.6. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით;

44.7. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება სასწავლო ცხრილების შესაბამისად. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ყოველკვირეულად სასწავლო პროცესის მენეჯერის პასუხისმგებლობით და განთავსდება დაინტერესებულ პირთთვის ხელმისაწვდომ ადგილზე;

44.8. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ აკადემიურ საათს (45 წთ), ხოლო მათ შორის შესვენება შეადგენს 15 წთ-ს;

44.9. პროფესიულ სტუდენტთა თითოეული ჯგუფისთვის წარმოებს სწავლის შედეგების დადასტურების პორტფოლიო, რომელიც ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

მუხლი 45. პროფესიული განათლების მასწავლებელი

45.1. აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საშუალო ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში აკადემიური ან პრაქტიკული მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;

45.2. პროფესიული განათლების მქონე პირს უფლება აქვს აკადემიაში ასწავლოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი იმავე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელი დონის კვალიფიკაციაც მას აქვს მინიჭებული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს შესაბამის დარგში 3 წლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტს;

45.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლების პროცესში უნდა იყენებდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელიც მიმართული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. საქმიანობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა, უნდა გაითვალისწინოს პროფესიული სტუდენტის შემხვედრი საჭიროებები და მოქნილი რეაგირება მოახდინოს მათზე;

45.4. პროფესიული განათლების მასწავლებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს კალენდარული გეგმა აკადემიის მიერ დადგენილი ფორმისა და შინაარსის დაცვით, ხოლო მეცადინეობაზე შესვლამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალები ელექტრონული სახით მათი განახლების საჭიროების შემთხვევაში;

45.5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, უზრუნველყოს მეცადინეობების სასწავლო ცხრილით დადგენილი გრაფიკით ხარისხიანი წარმართვა, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებით ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს შესასების ინსტრუმენტის ვალიდაციასა და ვერიფიკაციის პროცესებში;

45.6. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესის მენეჯერს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მენეჯერს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე;

45.7. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტებისათვის/არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირების შეფასებების/გამოცდების ორგანიზება/წარმართვაში და აკადემიის საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე;

45.8. აღნიშნული პუნქტები წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 46. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

46.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (შემდგომში-პროგრამის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საშუალო ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში აკადემიური ან პრაქტიკული მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება;

46.2. პროგრამის ხელმძღვანელი ინიშნება აკადემიის დირექტორის ბრძანებით და მიეთიტება მასთნ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში;

46.3. პროგრამის ხელმძღვანელის უნარები და კომპეტენციები უნდა იყოს: პროფესიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, ზეპირად და წერილობით აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბების უნარი, მრავალკომპონენტიანი სამუშაოს კოორდინირების უნარი, მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ეფექტური კომუნიკაციის უნარი, კომპიუტერთნ მუშაობის უნარი;

46.4. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთვსებაზე, საქმიანობისას ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შემხვედრ საჭიროებებს და ახდენს მათზე მოქნილ რეაგირებას;

46.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

46.5.1. მონაწილეობს პროფესიული პროგრამის განვითრებასა და სრულყოფაში;

46.5.2. წელიწადში ერთხელ (სავალდებულო) და საჭიროების შემთხვევაში (რიგგარეშე) ახდენს პროგრამის რევიზიას და წარმოადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისათვის, რაც ეფუძნება აკადემიაში დანერგილ სიახლეებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას, ახალი სასწავლო მასალების შექმნას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების ანალიზს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების საჭიროებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, კანონმდებლობისა და რეგულაციების ცვლილებების ასახვას;

46.5.3. მონაწილეობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში;

46.5.4. მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;

46.5.5. მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;

46.5.6. მონაწილეობს აკადემიის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში;

46.5.6.1. ესწრება მეცადინეობებს აკადემიასა და კომპანიაში;

46.5.6.2. მონაწილეობს შევსებული კითხვარების ანალიზის, შეფასების და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში;

46.5.6.3. წელიწადში ერთხელ ახდენს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშგებას;

46.5.7. ყოველი ჯგუფის სწავლის დასრულების შემდეგ წარმოადგენს ანგარიშს:

46.5.7.1. პროგრამის განხორციელებისას მიღწეული შედეგების შესახებ;

46.5.7.2. პროგრამის განხორციელების ძლიერი მხარეებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

46.5.7.3. პროგრამის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი ქმედებების შესახებ;

46.5.8. მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში, რაც გულისხმობს:

46.5.8.1. პროგრამაზე კონტიგენტის დაგეგმვაში მონაწილეობას; სტუდენტებთნ გეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებებს და მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას;

46.5.8.2. პორტფოლიოების ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურ ინდივიდუალურ გასაუბრებას;

46.5.8.3. ღია კარის დღეებზე პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

46.5.8.4. მასწავლებლების რეკრუტირებაში მონაწილეობას;

46.5.9. მონაწილეობს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში:

46.5.9.1. მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩვა/ჩანაცვლების პროცესში, მათი განვითარების საჭიროების დადგენაში;

46.5.9.2. მონაწილეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ობიექტების შერჩევაში;

46.5.9.3. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 47. აკადემიის ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა

47.1. აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან, შეუზღუდავი წვდომა ჰქონდეთ და ისარგებლონ აკადემიის სრული ინფრასტრუქტურით, აკადემიის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის სპეციალურად გამოყოფილი, შესაბამისად აღჭურვილი სივრცეებით. აღნიშნული წვდომა შეუზღუდავად ხორციელდება აკადემიის სამუშაო დროს და დასაშვებია მათი გამოყენება, ადმინისტრაციასთან წერილობითი შეთანხმებით უქმე და დასვენების დღეებში.

მუხლი 48. სწავლის საფასურის გადახდის წესი

48.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა პროფესიული სტუდენტებისთვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მიუხედავად ამისა, პროფესიულ სტუდენტს ეკისრება პროფესიული დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული საფასურის გადახდის ბვალდებულება, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება სტუდენტსა ან მის კანონიერ წარმომადგენელს და საგანმანათლებლო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

48.2. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელებისათვის სწავლების საფასური ან სრულად ფიმამსდება სახელმწიფოს მიერ, ან ხდება თანადაფინანსება მსმენელის მიერ პროგრამის ღირებულების 60%-ის ოდენობით, ან/და სრულად მსმენელის მიერ;

48.3. აკადემიის კერძო სასერტიფიკატო პროგრამებზე სწავლების შემთხვევაში მსმენელი სწავლის საფასურს იხდის სრულად.

მუხლი 49. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები

49.1. სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესი (შემდგომში წესი) ვრცელდება სასწავლო პროცესში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებზე;

49.2. სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების დროს (პროფესიულ მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებზე) ვრცელდება, აკადემიაში მოქმედი ყველა რეგულაცია, რომელიც

დაკავშირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებასთან და შესაძლებელია მისი გამოყენება დისტანციური სწავლების პირობებში;

49.3 დისტანციური სწავლების კომპონენტი გამოიყენება ფორსმაჟორული ვითრების დროს, პროფესიულ სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობის დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთ/ინსტრუქტორთ დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს აკადემიის ტერიტორიაზე მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას, ეპიდემიით ან პანდემიით გამოწვეული მდგომარეობისას, დადგენილი დროებითი შეზღუდვის დროს; რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში.

49.4. დისტანციური სწავლება პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით;

49.5. სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელების გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, რომლითც შესაძლოა განისაზღვროს, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში წარმართვის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხები. შეფასების ჩატარების ფორმა, სწავლის პერიოდის განსხვავებული ვადები და პირობები, კონკრეტული მიმართულებებისთვის/ დარგებისთვის სპეციფიკიდან გამომდინარე;

49.6. დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს იმ მოდულების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით;

49.7. სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელებისას სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამომდინარე, სინქრონული კომუნიკაციის ფორმით, კოლეჯში მიღებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

49.8. საჭიროების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის კონსულტირებას ელექტრონული პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებში;

49.9. სალექციო პროცესი წარიმართება, დირექტორის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ცხრილების შესაბამისად;

49.10. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც დისტანციური სწავლების ფორმატისთვის არის განსაზღვრული და ხელი შეუწყოს სწავლის შედეგების მიღწევას;

49.11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების სალექციო პროცესში ჩრთულობა;

49.12. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, ლექციის ჩაშლის, გადადება-აღდგენის შემთხვევა, აცნობოს აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერს, შემდგომი რეაგირებისთვის;

49.13. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთნ ერთად, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის ადაპტირებული სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. (სსსმ სტუდენტის შესაძლებლობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე).

49.14. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, სალექციო ცხრილის მიხედვით ჩაერთოს სასწავლო პროცესში;

49.15. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და გამორიცხოს ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორი;

49.16. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციები;

49.17. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, სალექციო პროცესის მიმდინარეობისას ჩართული ჰქონდეს კამერა და მიკროფონი;

49.18. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დისტანციური სწავლების მიუხედავად სწავლის შედეგები დაადასტუროს პირისპირ ფორმატში (ფიზიკურ გარემოში);

49.19. სალექციო პროცესის მიმდინარეობა უნდა იქნეს ჩაწერილი შემდგომი მონიტორინგის მიზნით.

დანართები:

დანართი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა;

დანართი N2 - შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა;

დანართი N3 - პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის ფორმა;

დანართი N4 - ვალიდაციის ფორმა.

ა(ა)იპ - საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მისამართი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

პროგრამის ხელმძღვანელი:

თბილისი 2025

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე
2. ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
5. დაშვების წინაპირობები:
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
7. სტრუქტურა და მოდულები:
8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება
10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
11. კვალიფიკაციის მინიჭება
12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის
13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები
14. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება
15. პროგრამის განხორციელების ადგილი:
16. პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა:
17. განხორციელების ფორმა:
18. პროგრამის დანართები

დანართი N2

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

შეფასების ინსტრუმენტის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:	
მოდულის დასახელება(მოდულის ნომერი):	
პროფესიული სტუდენტი: *(სახელი და გვარი)*	
პროფესიული მასწავლებელი: *(სახელი და გვარი)*	
შეფასების თარიღი:	
შეფასების ხანგრძლივობა:	
მოდულით გათვალისწინებული დასადასტურებელი სწავლის შედეგები:	**შესრულების კრიტერიუმები:** (ჩამოწერეთ თითოეული კრიტერიუმი, რომელიც უნდა დადასტურდეს)
ს/შ1.	
ს/შ2.	
ს/შ3.	
ს/შ4.	
ს/შ5.	
დავალების აღწერილობა, რომელიც უნდა შეასრულოს პროფესიულმა სტუდენტმა:	
შეფასების მტკიცებულების სახე:	

შეფასებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: *(აღჭურვილობა; ივენტარი;მასალა-ნედლეული)*	
შეფასების მიმართულება: *(მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე შეფასების მიმართულება)*	ა.გამოკითხვა ბ.პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გ.პრაქტიკული დავალება
სწავლის შედეგები დადასტურებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ:	**ა. გამოკითხვა** - მოცემული X რაოდენობის დავალებიდან სწორად უპასუხებთ … დავალებას. **ბ.პრაქტიკული დავალება დაკვირვებით-** შეასრულებთ პრაქტიკულად დავალებას და მიიღებთ დადებით შეფასებას X რაოდენობის შესრულების კრიტერიუმში. **გ.პრაქტიკული დავალება** - თითოეულ შეფასების კრიტერიუმში მიიღებთ X რაოდენობის დადებით შეფასებას.
შეფასების (მოდულის /სწავლის შედეგის)განმეორებითი დადასტურება:	პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე **(რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა)** სწავლის დასრულებიდან **2 კვირის ვადაში** განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის **მიერ 1 (ერთი) მცდელობის** შემდეგ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა, რაც გულისხმობს მოდულით განსაზღვრული საათების ანაზღაურებას; **თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა,** აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად;
შეფასების გასაჩივრების პროცედურა:	თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება არასამართლიანად ჩათვალა, მან **გაცნობიდან 2 სამუშაო დღის** ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა;
შეფასების ინსტურმენტის ვალიდატორები:	

შეთანხმებულია სასწავლო პროცესის მენეჯერთან (ხელმოწერა):

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა:

მოდულის შეფასების საბოლოო უწყისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდული (სარეგისტრაციო ნომერი):

თარიღი:

პროფესიული სტუდენტი: *(სახელი და გვარი)*	სწავლის შედეგ(ებ)ი:	მოდული დადასტურდა/ვერ დადასტურდა:	განმეორებითი დადასტურება: (დადასტურდა/ვერ დადასტურდა)
	ს/შ1. ს/შ2. ს/შ3.		

პროფესიული მასწავლებელი:

სასწავლო პროცესის მენეჯერი:

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -
მოდული /სწავლის შედეგი
პროფესიული განათლების მასწავლებელი -
ვალიდაციის თარიღი -

N	შეფასების ინსტურმენტის ტექნიკური/მეთოდოლოგიური ნაწილის ვალიდაცია	შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია არას შემთხვევაში
		დიახ	არა	განათლების სპეცილისტის კომენტარი
1.	შეფასების ინსტრუმენტზე მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:			
2.	მითითებულია დასადასტურებელი მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი:			
3.	მითითებულია შეფასების მიმართულება:			
5.	მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი:			
6.	მითითებულია შეფასების ხანგრძლივობა:			
7.	მითითებულია მოდულის შესაბამისად სწავლის შედეგი/შედეგები და შესრულების კრიტერიუმები:			
8.	მითითებულია შესასრულებელი დავალების/დავალებების აღწერილობა/აღწერილობები:			
10.	აღწერილია შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი			
11.	მითითებულია შეფასების მტკიცებულების სახე:			
12.	მითითებულია შეფასების პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა, ინვენტარი, მასალა-ნედლეული:			
13.	მითითებულია, თუ რა შემთვევაში შეფასდება შესრულებული დავალება/დავალებები დადაებითად/უარყოფითად:			
14.	მითითებულია ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ:			
15.	მითითებულია შეფასების გასაჩივრების პროცედურა:			
	განმავითარებელი კომენტარები(არასავალდებულო) :			

ვალიდატორი(მეთოდოლოგიური კუთხით) - სასწავლო პროცესის მენეჯერი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
მოდული /სწავლის შედეგი:
პროფესიული განათლების მასწავლებელი:
ვალიდაციის თარიღი:

N	შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმა (შინაარსობრივი კუთხით)	შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია არას შემთხვევაში
		დიახ	არა	დარგის სპეციალისტის კომენტარი
1.	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად:			
2.	დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად:			
3.	შეფასების ინსტრუმენტში სწორად არის განსაზღვრული დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო ზღვარი:			
4.	შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ დავალებათა შინაარსი ფარავს მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს:			
	განმავითარებელი კომენტარები (სურვილის შემთხვევაში):			

ვალიდატორი (შინაარსობრივი კუთხით):